სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მიხეილ ჯინჯოლიას* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	**88**	**100**

ირაკლი ბონდარენკო
თარიღი: 14.04.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის მიხეილ ჯინჯოლიას შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულების (2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებაში) საფუძველზე დაიწყო, კონკურსი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის. რომლის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ მიხეილ ჯინჯოლიას შეფასება. შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით.

კანდიდატს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრთან გათანაბრებული), სპეციალობით მუშაობის 14 წლიანი, მათ შორის, მოსამართლედ მუშაობის 4 წელი და 4 თვე გამოცდილება. ამჟამად, მიხეილ ჯინჯოლია სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კანდიდატი შევაფასე სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისთვის ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლებით, საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი პიროვნული და პროფესიული თვისებების გათვალისწინებით.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით

სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება; პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა; მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

1.1. **პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის** მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის როგორც მოსამართლისა და მოქალაქის – კეთილსინდისიერება, პატიოსნება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი

დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მიხეილ ჯინჯოლიას რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ როგორც კეთილსინდისიერ, პატიოსან, თავმდაბალ, პრინციპულ, შრომისმოყვარე, ჰუმანურ, დინჯ და თავაზიან პიროვნებას. გამოარჩევენ მის შრომისმოყვარეობას, კომუნიკაბელურობას და კეთილსინდისიერებას. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორია. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

კანდიდატს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოთხი ფაქტი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით კანდიდატს უფიქსირდება სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ორი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. ჯარიმები გადახდილია დროულად.

1. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა**

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით მიხეილ ჯინჯოლია საკუთარი სიტყვის ერთგული, კვალიფიციური და პრინციპული პიროვნებაა. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუცლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ.

1.3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არ არსებობა, სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას და სხვა. აგრეთვე, საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დგინდება. კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა და არც სასამართლო დავაში მხარედ მონაწილეობა არ უფიქსირდება.

კოლეგების შეფასებით, მიხეილ ჯინჯოლია გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, კორექტულობით. რესპოდენტების შეფასებით კანდიდატი შრომისმოყვარე, თავმდაბალი, თავაზიანი და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის მქონე პიროვნებაა.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ემოციურად სტაბილურია, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

1.4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი, მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში.

კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. იგი სარგებლობს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში, ასევე ზოგადად იურიდიულ წრეებში. მიხეილ ჯინჯოლიას შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება მის სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაცია.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ მისი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია შეესაბამება მოსამართლის იმიჯს.

1.5. ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიხეილ ჯინჯოლიას აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ყველა მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე სრულად დადებითად. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ მიხეილ ჯინჯოლია **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით. კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი შემდეგი მახასიათებლები: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის (სასამართლოს განაჩენები) გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი კარგად იცნობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე ადამიანის უფლებათა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საჯარო მოსმენისას კანდიდატმა გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ცოდნის სათანადო დონე. შეკითხვები დაისვა სისხლის სამართლის როგორც საპროცესო ისე მატერიალური ნაწილის სფეროდან. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა დასმულ საკითხებზე. კანდიდატი კარგად ფლობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს, რის შესახებაც ვრცლად ისაუბრა. ვრცლად და ამომწურავად ისაუბრა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით, ქრთამის აღებასა და ზეგავლენით ვაჭრობას შორის განსხვავებასთან დაკავშირებით; განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით და სხვა.

საჯარო მოსმენისას კანდიდატმა საინტერესო მსჯელობა განავითარა სასამართლო სისტემაში განხორციელებულ სხვადასხვა ტალღის რეფორმებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ ჯინჯოლიას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა 2018 წლის 28 ივლისს. სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2009 წლის 11 დეკემბერი)

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მიხეილ ჯინჯოლიას უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **20 ქულიდან 18 ქულა.**

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული განაჩენის დასაბუთებულობა. მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

წარმოდგენილ განაჩენებში მიხეილ ჯინჯოლიას მსჯელობა დასაბუთებულია. კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთება არის თანმიმდევრული და მარტივად აღსაქმელი. შეუძლია საფუძვლიანი და დამაჯერებელი მსჯელობა. მიხეილ ჯინჯოლიას აქვს 4 წლიანი სამოსამართლო გამოცდილება, სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა არსებითად სწორად იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა არასრული პასუხები გასცა ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე დასმულ შეკითხვას, კერძოდ მისი პასუხები არასრული იყო

არასრულწლოვანთა სასჯელებთან, სამოქალაქო შეთანხმებასთან და დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებით. ამასთან, კანდიდატმა ვერ გაიხსენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ, მიხეილ ჯინჯოლია უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **20 ქულიდან 18 ქულა.**

2.3. წერის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

შესწავლილ იქნა მიხეილ ჯინჯოლიას სასამართლო განაჩენები, რომლის გაცნობის შედეგად შეძლება დაფასკვნა, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს ამომწურავად, ლაკონიურად და გასაგები ენით. ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ მნიშვნელოვანზე. დასაბუთება აქვს მარტივი და გასაგები. სამართლებრივი დოკუმენტი არის მარტივად აღსაქმელი. რესპოდენტები უთითებენ, რომ კანდიდატს გააჩნია მოსმენისა და კამათის კულტურა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, მიხეილ ჯინჯოლიას უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **20 ქულიდან 19 ქულა.**

2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

გამოკითხული პირები უთითებენ, რომ მიხეილ ჯინჯოლია აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, ფლობს კომუნიკაციის სათანადო უნარებს. კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესში გამოავლინა კარგი კომუნიკაციის, გამართულად მეტყველების, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. იგი საუბრობს მშვიდად, დამაჯერებლად და გაწონასწორებულად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, კანდიდატს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **15 ქულიდან 13 ქულა.**

2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა და სხვა.

რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატს ახასიათებენ პუნქტუალურ, მიზანდასახულ და შრომისმოყვარე პიროვნებად, რომელსაც აქვს სტრესულ და დატვირთულ სამუშაო ვითარებაში პროდუქტიული მუშაობის უნარი. კოლეგები უთითებენ, რომ კანდიდატი სასამართლო პროცესს წარმართავს მშვიდად და აუღელვებლად.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მიხეილ ჯინჯოლიას საანგარიშო პერიოდში (990 დღე) დასრულებული აქვს 5203 საქმე. დღეში საშუალოდ 5,3 საქმე. კანდიდატის მიერ გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა 100%; საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა - 100%; რაც საერთო ჯამში მიუთითებს კანდიდატის მოწესრიგებულობასა და ორგანიზებულობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით მიხეილ ჯინჯოლია უნდა შეფასდეს განსაზღვრული მაქსიმალური **15 ქულიდან 14 ქულით.**

2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

- ✓ მიხეილ ჯინჯოლიას მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები:
- ✓ 2020 წლის 18 დეკემბერი - 2020 წლის 19 დეკემბერი - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- ✓ 2021 წლის 22 მარტი - 2021 წლის 25 მარტი - კიბერდანაშაული და ელექტრონული მტკიცებულებები - EU4JUSTICE;
- ✓ 2022 წლის 4-5 ივნისი, ბაკურიანი, ევროპის საბჭოს (CoE) საპილოტე სემინარი - „სქესობრივი დანაშაული".
- ✓ 2022 წლის 23-24 ივლისი, კომპლექსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მიერ ერთობლივად ორგანიზებულ სემინარი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა".
- ✓ 2022 წლის 29-30 ოქტომბერი, კომპლექსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) სემინარი - „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე".
- ✓ 2023 წლის 15-17 მარტი, წინანდალი, სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული.
- ✓ 2023 წლის 7-9 აპრილი - დანაშაულისა და ძალადობის მოწმე ბავშვები - EU;
- ✓ 2024 წლის 8 ივნისი, თბილისი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენინგი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცედენტები)" და სხვა.

მიხეილ ჯინჯოლია ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს. ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-16 ჯგუფის მსმენელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, კანდიდატს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **5 ქულიდან 3 ქულა.**

2.7. პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მიხეილ ჯინჯოლია აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ დისკუსიებსა და შეხვედრებში, სადაც საკუთარ პოზიციას გამოხატავს ღიად. კანდიდატი სიახლეების მიმართ ღიაა,

აქვს ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის ინტერესი. არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2024 წლის 24 მარტის დადგენილებით არჩეულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, მიხეილ ჯინჯოლია უნდა შეფასდეს მაქსიმალური **5 ქულიდან 3 ქულით.**

<u>კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:</u>

მიხეილ ჯინჯოლია **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატს ვაფასებ **88 ქულით,** რაც მაქსიმალურ ქულათა ჯამის **(100 ქულა) 88%** შეადგენს.

ირაკლი ბონდარენკო

14.04.2025 წელი